ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVIII
თბილისი. 2022

მარიკა მშვილდაძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

ქართლი და სასანიანთა ირანი III საუკუნეში. რელიგიური ასპექტი

ახ.წ. I-III საუკუნეებში ქართლი "Pax Romana"-ს გეოპოლიტიკურ სფეროში შედიოდა. ახ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი მძაფრი პოლიტიკური ქარტეხილებით არ გამოირჩეოდა ქართლისათვის. ირანის პირველი სასანიანი შაჰი საკუთარი ქვეყნის საქმეებით იყო დაკავებული და, შეიძლება ითქვას, ქართლისათვის ვერ იცლიდა. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ქართლი ინარჩუნებდა ჯერ კიდევ I-II სს. არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას.

III საუკუნის შუა ხანებში ქართლის მეფეა ამაზასპი (242-263 წწ.), რომლის მმართველობის პირველ პერიოდში, ქართლის სამეფო ძლიერ და ვრცელ სახელმწიფოს წარმოადგენდა. „მეფეთა ცხოვრების" მიხედვით, ამაზასპი ძლიერი მმართველია, ფარსმან ქველის მსგავსი გოლიათია. მას ექვემდებარება კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, შიდა ქართლი და დასავლეთ საქართველოს ორი ეგრისი, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის ერისთავნი. ამაზასპი ამარცხებს და დევნის ქართლის დასარბევად შემოჭრილ ოსებს. შემდეგ კი წარმატებულად ლაშქრობს ოსეთში.[1] „მეფეთა ცხოვრების" ავტორი ამაზასპისა და მისი მომდევნო მეფეების ზეობის წლებს მირიანის ჩათვლით, აძველებს რამდენიმე ათეული წლით და გადააქვს III ს-ის პირველ ნახევარში. მიუხედავად ამ ანაქრონიზმისა, „მეფეთა ცხოვრების" ცნობები III ს-ის მეფეების მოღვაწეობაზე (ამაზასპიდან მირიანამდე) დასტურდება უცხოური წყაროებით, რაც მკვლევართა თვალსაზრისით, ნდობას იმსახურებს. ოღონდ ეს

[1] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბ. 1955, გვ. 55-57.

ცნობები ასახავს არა III ს-ის პირველი ნახევრის, არამედ მეორე ნახევრის ვითარებას.[2]

მოგვიანებით, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, რაც სასანიანთა ირანის გაძლიერებასა და ამ სახელმწიფოს ქართლში საკუთარ პოლიტიკურ ზრახვებში გამოიხატებოდა, ამაზასპი იძულებულია სახელმწიფო ორიენტაცია შეცვალოს და თავი ირანის შაჰის შაბურ I-ის (240/41-271/72 წწ.) ვასალად აღიაროს.

ამაზასპმა ვერ შეძლო საბოლოოდ ეხსნა ქართლი ირანის დაქვემდებარებისაგან, თუმცა, როგორც ჩანს, დიპლომატიური საშუალებებით აიცდინა ირანის აგრესია. მან ვერ შეძლო ბოლომდე შეენარჩუნებინა საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობა.[3] ამაზასპს მეფობის ბოლო წლებში რომისა და სომხეთის დახმარებით ადგილობრივი დიდებულები აუჯანყდნენ. ირანის დახმარების მიუხედავად, იგი დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა. ქართლის ტახტზე კი სომეხთა მეფის ძე ამაზასპის დისწული რევი დასვეს, რომელიც რევ მართალის (263-273 წწ.) სახელით არის ცნობილი. ქართლის მომდევნო მეფე უკვე სომხეთის მეფესთან ერთად იბრძოდა ირანის წინააღმდეგ. სულ მალე სასანიანთა ირანი რამოდენიმეჯერ მარცხდება რომთან ბრძოლებში და 298 წელს ნიზიბინში იდება ცნობილი ხელშეკრულება, რომელიც ნიზიბინის ორმოცწლიანი ზავის სახელით არის ცნობილი.

ახ.წ. III საუკუნის დასაწყისში პართიის არშაკიანების დინასტიის ხელისუფლება დაამხო ირანის ფარსის პროვინციის – სტახრის ზოროასტრული კულტის ქურუმთა საგვარეულოს – სასანიანთა წარმომადგენელმა არდაშირ პაპაკის ძემ (226-240/41 წწ.). მან 224 წელს მიდიაში, ორმიზდაგანის ველზე, დაამარცხა ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი არტაბან V, რომელიც ბრძოლაში დაიღუპა. 226 წელს არდაშირი ქ. ქტეზიფონში მეფედ ეკურთხა.[4] ქართლი და სომხეთი რომის გავლენის სფეროში მოექცნენ. ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომაელებისაგან უნდა მიეღო (Petros Patrikius, Hist., 14). მიუხედავად ამისა, ქართლი და სომხეთი ფაქტობრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად რჩებოდნენ.

---

[2] ნ. შოშიაშვილი. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ახ. წ. III-IV საუკუნეებში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ტ. I. თბ. 1998, გვ. 67.

[3] ნ. შოშიაშვილი. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ახ.წ. III-IV საუკუნეებში, გვ. 63-84 (71).

[4] ვ. გაბაშვილი. სასანიდური ირანის სახელმწიფო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ. 1957, გვ. 39-41.

III საუკუნე სასანიანთა ირანის ისტორიაში ხასიათდება მზარდი ცენტრალური ხელისუფლების გავლენით. თუ თავდაპირველად ქვეყანა ცალკეული სამეფოების კონფედერაციას წარმოადგენდა, მოგვიანებით, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის შედეგად, სასანიანთა პერიოდის ბოლოს, როდესაც საბოლოოდ დასრულდა რეფორმა, სახეზე გვაქვს შაჰების სისტემიდან ოთხ დიდ ნაწილად ქვეყნის დაყოფა მეფისნაცვლით სათავეში, რომლებიც ადგილებზე როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო ძალაუფლებას ახორციელებდნენ.[5]

III საუკუნეს სასანიანთა ირანის ისტორიაში რელიგიური რეფორმის ხანა შეგვიძლია ვუწოდოთ (კარტირი და მანი. ზოროასტრიზმი და მანიქეველობა), ვინაიდან სწორედ რელიგიურმა რეფორმამ განსაზღვრა შემდგომში სასანიანთა ირანის ისტორია. უდიდესი ტერიტორია, რომელზეც ახალი იმპერია შეიქმნა სხვადასხვა ტრადიციის მატარებელი ხალხით იყო დასახლებული და სრულიად განსხვავებული რელიგიური სწავლიბები იყო გავრცელებული: ქრისტიანობა, იუდაიზმი, ბუდიზმი, ბრაჰმანიზმი, განსხვავებული ფილოსოფიური მოძღვრებები, ნეოპლატონიზმი, უძველესი კოსმოგონიური და კოსმოლოგიური იდეები, ელინისტური და ძველბაბილონური კულტები, ზოროასტრიზმის სხვადასხვა ახსნები...

ქვეყანას ერთიანი რელიგია ესაჭიროებოდა. ის რელიგიური სინკრეტიზმი, რომელიც პართიიდან იყო მიღებული არ გამოდგებოდა. ერთის მხრივ, იყო კარტირი – ზოროასტრიზმის იდეური მამა, რომელიც სახელმწიფო რელიგიის პირველი კანონის შემქმნელი და მისი მოციქული იყო. ხოლო, მეორეს მხრივ, მანი – მანიქეიზმის ფუძემდებელი.

ადრესასანიანთა პერიოდის ზოროასტრიზმი, რომელშიც მთავარ როლს ღვთაება ანაჰიტა და მითრა თამაშობდნენ (იმავე პერიოდში იქმნება აჰურამაზდას იკონოგრაფიული სახე) საკმაოდ განსხვავდებოდა ცენტრალიზებულირი სასანიანთა პერიოდის (V-VII სს.) ზოროასტრიზმისაგან და როგორც ჩანს, მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარსა პართული ხანის ზოროასტრიზმთან, ისევე როგორც ადრეული ზოროასტრული ტაძრები აგრძელებენ პართულ და აქემენიანთა ტრადიციებსაც კი.[6] თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არ-

[5] მ. მშვილდაძე. იმპერიები და რელიგიები (რომი და სასანიანთა ირანი ახ.წ. III ს.). ჟურნ. „ამირანი". კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე. XX. მონრეალი-თბილისი. 2008, გვ. 86-93.

[6] К. В. Тревер, В. Г. Луконин. Сасанидское серебро. Москва. 1987, გვ. 25-26.

დაშირ I (226-240/41წწ.) და შაბურ I (240/1-271/2 წწ.) ასტარქში ქალღმერთ ანაჰიტას ტაძრის მბრძანებლებად (მეუფეები) მოიხსენებიან, ტაძრისა, რომელიც ქვეყანაში ერთ-ერთი ზოროასტრული სიწმინდე იყო, ყველაფერი ნათელი გახდება.

მანის – მანიქეველობის ფუძემდებელს მოღვაწეობა მოუხდა სასანიანთა სამი მეფეთამეფის: შაბურ I (240/1-271/2 წწ.), ჰორმიზდ I (271/2-272/3 წწ.) და ბაჰრამ I-ის (272/3-275/6 წწ.) დროს.[7] მის მფარველად იმპერიაში შაბურ I გამოდის. კარგად ორგანიზებული პროპაგანდის მეშვეობით, მანის მოძღვრება საკმაოდ მალე გავრცელდა სასანიანთა ირანში. სწორედ ეს ორი პიროვნება კარტირი და მანი განაგებდნენ ქვეყანაში მთელ იდეოლოგიურ ბრძოლას. შედეგმაც არ დააყოვნა. პირველი განხეთქილება შაბურ I-სა და მანის შორის 252 წელს უნდა მომხდარიყო.[8] მიუხედავად ამისა, მანიქეველების დევნა ირანში არ დაწყებულა. მხოლოდ შაბურ I-ის სიკვდილის შემდგომ, როდესაც ქვეყანაში გაიზარდა კარტირის გავლენა შესაძლებელი გახდა ზოროასტრიზმის გამარჯვება.

რა მდგომარეობაა რელიგიური თვალსაზრისით III საუკუნის ქართლის სამეფოში? არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ქართლში ადგილობრივ კულტებთან ერთად გავრცელებულია ბერძნულ-რომაული ღვთაებები, ქრისტიანობა, იუდაიზმი...

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დავადგინოთ თუ რამდენად აისახა სასანიანთა ირანში III საკუნეში არსებული რელიგიური სიტუაცია ქართლის სამეფოზე. რელიგიის შესწავლა ხომ ბევრი პოლიტიკური მოვლენის ახსნის გასაღები ხდება, რადგან იგი უშუალო კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებთან.

უპირველესად გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი ჯერ კიდევ სასანიანთა ირანის პირველი შაჰის არდაშირ I-ის (226-240/1 წწ.) დროს ქართლის პიტიახშსა და ირანის პიტიახშს შორის არსებულ დიპლომატიურ კონტაქტებზე, რაზეც მეტყველებს 1940

[7] მანის გარდაცვალების თარიღი დღემდე სადაოა. მანიქეველების მიხედვით, ან 276 წლის 14 თებერვალია, ან 277 წლის 26 თებერვალი. სამეცნიერო კვლევების ავტორები უფრო 277 წლის 26 თებერვალს იზიარებენ. რომელიც თავის მხრივ წინააღმდეგობაშია ირანის მეფეთამეფეების მმართველობის წლებთან, რომელთა მიხედვითაც, მანი მოკვდა ბაჰრამ I-ის (272/3-275/6 წწ.) მმართველობის დროს [იხ.: Henri-Charles Puech. Le manichéisme. Paris. 1949, გვ. 52 და შემდ.; Siehe dazu Ursula Weber. I. Wahrām. In: Prosopographie des Sasanidenreiches, გვ. 26, 43].

[8] O. Klima. Manis zeit und leben. Prag. 1962, გვ. 57.

წელს არმაზისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ვერცხლის თასი ფალაური წარწერით.[9] მაგრამ დიპლომატიური ურთიერთობები სხვაა, რელიგიის შემოსვლა და დამკვიდრება კი სხვა. ეს უფრო ღრმა კავშირებზე, პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებებზე მეტყველებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით, მნიშვნელოვანი დატვირთვა ეძლევა აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლის ტერიტორიაზე არმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების შესწავლას, რადგან გემა ის თანადროული ისტორიული დოკუმენტია, რომელზეც გამოსახული ღვთაებები, სიმბოლოები რიტუალური სცენები ნათელს ჰფენს ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს. ჭრილაქვებზე არსებული გამოსახულებები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ იმ ეპოქის მატერიალური, რელიგიური თუ სულიერი კულტურა, რომლის დროსაც ის იქმნებოდა.

სასანური გემების შემოსვლა კი ქართლის სამეფოში ძირითადად IV საუკუნის შემდეგ იწყება. ხოლო მათი ინტენსიური გავრცელება ხდება V საუკუნის II ნახევრიდან და მთელ სასანურ პერიოდში გრძელდება.[10] არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღნიშნული პერიოდის საბეჭდავებზე გამოსახულია სასანური გლიპტიკისათვის დამახასიათებელი სიუჟეტები, როგორიცაა ნახევარმთვარე რვაქიმიანი ვარსკვლავით, ბროწეულის ყვავილი, ზოროასტრიზმის საკურთხეველი (არდაშანი), ფრინველი, ქურციკი...[11] უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგადად სასანური ხელოვნების ნიმუშებზე, გლიპტიკის ძეგლებზე გამოსახული თემატიკა ხშირად მეორდება. თემატიკის ხშირი გამეორება და შეზღუდულობა ვ. ლუკონინის აზრით, სასანური ხელოვნების კანონიკურობის მაჩვენებელია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა სასანიანთა ირანის ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისთანავე.[12]

III საუკუნეში სასანური გემები ჩვენში გავრცელებული არ ჩანს. საიდ-

---

[9] Г. В. Церетели. Эпиграфические находки в Мцхета -древнейшей столице Грузии. ВДИ, 1948. №2, გვ. 55; შ. ამირანაშვილი. არმაზისხევში გათხრების დროს ნაპოვნი ადრესასანური ეპოქის ვერცხლის თასი. კრებული „თბილისი 1500“. თბ. 1958, გვ. 90-91; В. Г. Луконин. Иран в эпоху Сасанидов. Москва. 1961, გვ. 60-61.

[10] ქ. რამიშვლი. სასანური გემები საქართველოში. თბ. 1978, გვ. 16-18.

[11] М. Мшвилдадзе. Сасанидские цельнокаменные перстни-печати из Пикрисгора (в Мцхета). Международная научная конфернция «Актуальные проблемы современного востоковедения» («Бунятовские чтения»), посвящённая памяти действительного члена Национальной Академии Наук Азербайджана, Героя Советского Союза Зии Мусаевича Буниятова (Баку, 16-17 октября 2017 г.). Материалы Международной научной конфернций. Баку. 2018, გვ. 92-102.

[12] А. Я. Борисов, В. Г. Луконин. Сасанидские геммы. Ленинград. 1963, გვ. 31-35.

ანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიის იმ მცირე მონაკვეთში, როდესაც „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, მეფე ამაზასპის[13] მიერ ქართლის სახელმწიფო ორიენტაცია აღმოსავლეთისკენ იცვლება, ასევე რევ მართალის დროს სასანიანთა ირანიდან რელიგიურ (ზოროასტრიზმი) ექსპანსიას არ უნდა ჰქონოდა ადგილი.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ მანიქეველობასთან დაკავშირებით. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ამაზასპი – რევ მართალის მეფობის ხანას ემთხვევა ქართლში მანიქეიზმის მძლავრი ნაკადის შემოსვლა. რისი მტკიცების საფუძველსაც წარმოადგენს 1902-1916 წლებში, გერმანიის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩინეთში, უიღურთა რეგიონში, ქალაქ ტურფანის მისადგომებთან ყოფილი მონასტრის კვლევა, სადაც აღმოჩნდა მანის წიგნები, მანიქეველთა ლიტერატურა, ლოცვები, ჰიმნები...[14] მკვლევართა ყურადღება მიიპყრო M-216 (B) ტექსტმა ფალაურ ენაზე. რომლიდანაც ცნობილი ხდება, რომ იბერიის რომელიღაცა მეფე (Waručan šah), სახელად „Hbz“ (Habaz?), ღირსი გახდა „ნათლის მოციქულის“ ხილვისა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. მათ შორის შემდგარი საუბრის შემდეგ კი მანიქეველობის მიმდევარი გახდა. მკვლევართა ნაწილის „Hbz“ ამაზასპად მიიჩნევს.[15] ნაწილი კი, რევ მართალად.[16] აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ M-216 (B) ტექსტთან დაკავშირებით, იმთავითვე გამოითქვა მოსაზრება, რომ მასში მოხსენიებული მოციქული უნდა ყოფილიყო მანიქეველი მარ-ამო. კავკასიის იბერია კი არანაირად ჯდებოდა მარ-ამოს მისიონერულ მიმართულებაში, რაგანაც იგი აბაშაჰრიდან (ნიშაბურ) მერვის გავლით ქუშანთა სამფოსაკენ,

[13] მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, იგი ზოროასტრიზმის აღმსარებელი და სასანიანთა გვერდითი შტოს წარმომადგენელია. М. Андроникашвили, Т. Чхеидзе. Среднеиранские языки и их значение для изучения истории культур с сопредельных с Ираном ареалов (на материале грузинского языка). Советское Востоковедение. Проблемы и Перспективы. Москва. 1988, გვ. 452-457.

[14] M. Boyce. A Catalogue of the Iranian Manuscripts in Manichean Script in the German Turfan Collection. Academie-Verlang. Berlin. 1960, გვ. 9.

[15] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხ. კ. გამსახურდია, ირანული და სემიტური კულტურული ნაკადები ადრექრისტიანულ იბერიაში და მათი მოგვიანო მწიგნობრული რეცეფცია, ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბ. 2020, გვ. 102-105.

[16] მ. სანაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე). თბ. 2001, გვ. 147; გ. ყიფიანი. ნეკრესის „დიდი კვადრატი“ http://saunje.ge/index.php?id=1478&lang=ru

შუაზიისაკენ წავიდა.[17]

კ. გამსახურდიას აზრით, ტექსტში მოხსენიებული fryštagrwšn, ანუ „მოციქული ნათლისა“ უნდა იყოს მისიონერის ეპითეტი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა მანის ყველაზე გავრცელებული ეპითეტი... ამდენად ცხადია, რომ „ნათლის მოციქული“ წარმოადგენს მხოლოდ მანის ეპიტეტს და არ გამოიყენებდნენ მის მოწაფეებთან, მარ სისინიოსთან, მარ ამოსთან, პატიკიოსთან ან ადდაისთან დაკავშირებით.[18]

რამდენად იყო შესაძლებელი ახალი რელიგიური მოძღვრების – მანიქეველობის შემოსვლა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე III საუკუნის შუახანებში და ქართლის მეფის მიერ მისი აღიარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში ორი თვალსაზრისია გამოთქმული. მანიქეველობის მისიის მსმენელი უნდა ყოფილიყო ან ამაზასპი, ან რევ მართალი. მიღებული თვალსაზრისით, ამაზასპის მეფობა ემთხვევა სასანიანთა ირანში შაბურ I-ს (240/1-271/72 წწ) პერიოდს, რომელიც მეფობის დასაწყისში მანის მფარველად გვევლინება. შაბურ I მეფედ კურთხევისას მანი სასახლის კარზე მიიღო, როგორც ახალი მრწამსის, ახალი რელიგიის წინასწარმეტყველი, რომელიც მაშინ სულ 25 წლისა იყო. მანიმ შაბურ I თავისი თხზულება „შაბურაკანი“ (Shaburagan - შაბურის წიგნი) გადასცა. ამ დროისათვის მანის მოვლილი ჰქონდა აღმოსავლეთი და გაცნობილი იყო არაერთ მოძღვრებას, რომელთაც ერთად მოუყარა თავი. ჩვენ მანის მოძღვრებაზე არ შევჩერდებით, უბრალოდ აღვნიშნავთ, მას ყველა მანამდე არსრბულ მოძღვრებაზე მაღლა დგომა და „მსოფლიო რელიგიის“ შექმნა სურდა. შაბურის გარდა მანის მფარველობდა შაჰინშაჰის ძმა პეროზი. მაგრამ საკმაოდ მალე, შაბურ I-ს ეცვლება დამოკიდებულება მანის მიმართ. რასაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგილი უნდა ჰქონოდა 252 წელს. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიაში მანიქეველების დევნა არ დაწყებულა, ეს საკმარისი საბაბი უნდა ყოფილიყო ქართლის მეფე ამაზასპისთვის, რომ მანიქეველობისადმი მხარდაჭერა ღიად არ დაეფიქსირებინა. მითუმეტეს იმისა, თუ გავითვალისწინებთ მის პიროვნებას. იგი საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული მმართველია. რომლის სახელმწიფო პოლიტიკა, ლავირების მეთოდზე იყო დამყარებული. „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, ხომ მან დასავლეთის პოლიტიკური კურსი სწორედ არსებუ-

[17] W. Henning. Waručan-šah. JGIS 1945. v.2, გვ. 88-89.

[18] კ. გამსახურდია. ირანული და სემიტური კულტურული ნაკადები ადრექრისტიანულ იბერიაში და მათი მოგვიანო მწიგნობრული რეცეფცია, გვ. 105-106.

ლი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე შეცვალა აღმოსავლურით.

რაც შეეხება რევ მართალს. იგი „მეფეთა ცხოვრებაში“ მოხსენიებულია როგორც წარმართი:

„და ამან რევ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, ასული ლოღოთეთისი, სახელით სეფელია. და ამან სეფელია მოიღო თანა კერპი, სახელით აფროდიტოს, და აღმართა თავსა ზედა მცხეთისასა.

ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთაჲ, რამეთუ სმენილ იყო მისიდა სახარებაჲ უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და აქუნდა რაჲმე სიყვარული ქრისტესი.

და მან მეფობასა შინა მისსა არღარავის უტევა ქართლსა შინა ყრმათა კვლა, რომელსაცა – იგი ამისა უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირვიდეს მსხვერპლად ყრმათა, არამედ ცხოვრისა და ძროხისა შეწირვა განუწესა. ამისთჳს ეწოდა მას რევ მართალი.“[19]

„მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, რევ მართალის მეუღლე სეფელიაც წარმართია. იმავდროულად, მეფე მოწყალე და შემწეა ყოველთა ჭირვეულთა და მოსმენილი ჰქონდა სახარება და ქონდა ქრისტეს სიყვარული. რაც თანხვედრაშია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასთან. ახ.წ. III საუკუნეში ქართლი წარმართული ქვეყანაა, მაგრამ საკმაოდ არის გავრცელებული ქრისტიანობა, არტეფაქრების შესწავლის შედეგად დასტურდება წყაროებში დაცული ცნობები ქართლის ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე ქრისტიანიზაციის შესახებ. ადრექრისტიანული სიმბოლოები როგორიცაა თევზი, ღუზა თევზებით, დელფინი, მტრედი, ფარშევანგი... რომლებიც უმეტესად ბეჭდების გემა-ინტალიოებზეა ამოკვეთილი, მცხეთის ტერიტორიაზე ჩნდება ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან. ადრექრისტიანული სამარხები გვხვდება ხერთვისში, სამთავროს სამაროვანზე, მტკვრისა და არაგვის ხეობაში – თანამედროვე მცხეთის ტერიტორიაზე...

ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევართა შორის ვხვდებით არისტოკრატიისა და მმართველი წრეების წარმომადგენლებს. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება, აგრეთვე, ადრექრისტიანული წარწერები. ქრისტიანობისადმი მიდრეკილება ქართლში განსაკუთრებით მკვეთრად შეიმჩნევა სამეფო დომენის ტერიტორიაზე, სადაც ქრისტიანობის გავრცელება ფიქსირდება საზოგადოების ყველა ფენაში ჯერ კიდევ ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე. ზემოაღნიშნულიდან გამომ-

[19] ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 55-57.

დინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის სახელმწიფო ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე, საკმაო რაოდენობის ახალი მონოთეისტური რელიგიის მიმდევარი ცხოვრობდა.[20]

ნიშანდობლივია, რომ III საუკუნე ქრისტიანობის აღზევების პერიოდს წარმოადგენს სასანიანთა ირანში, სადაც ძლიერი ქრისტიანული თემი არსებობდა, რის საფუძველადაც ანტიოქიიდან დევნილი (დეპორტირებული) კლირები იქცნენ, რომელთაც მიაწერენ კიდეც პირველი საეპისკოპოსოების დაარსებას იმპერიაში.[21] ირანის მახლობელ ოლქებსა და თვით ირანშიც (მესინა, სუზი, რევ-არდაშირი, ბაჰრეინი) 225 წლამდე უკვე იყო დაარსებული ქრისტიანული საეპისკოპოსოები.[22] არ არის გამორიცხული, რომ მათი რიცხვი გაზრდილიყო შაბურ I წარმატებული ლაშქრობების შედეგად ქვეყანაში შეყვანილი ტყვე რომაელი ლეგიონერების ხარჯზე, რომლებიც მხედველობაში ჰყავთ მოგვიანო ხანის ქრისტიან ავტორებს. ყოველ შემთხვევაში პირველი ქრისტიანული თემები იქმნებოდა ირანის შემდეგ ქალაქებში: შად-შაბური, ბეჰ-შაბური, ანტიოქ-შაბური.[23] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ III საუკუნის მეორე ნახევარში სასანიანთა ირანი არა თუ დევნიდა ქრისტიანებს, არამედ რომის იმპერიიდან გამოქცეულ ახალი მონოთეისტური რელიგიის წარმომადგენლებსაც კი იფარებდა, რაც ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო პოლიტიკით „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“. ის რაც იდევნებოდა ირანისადმი საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში, მისაღები იყო მათთვის და პირიქით. ასეთივე განწყობა იყო რომის იმპერიაში. სახელმწიფო ინტერესების უპირველესობა იმპერიებისათვის მთავარ დებულებას წარმოადგენდა.[24]

რაც შეეხება რევ მართალის მანიქეველობასთან კავშირს. გარდა ტურფანში აღმოჩენილი M-216 (B) ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ტექსტისა, რომელსაც მეცნიერთა ნაწილი სწორედ რევ მართალთან აკავშირებს, არსებობს თვალსაზრისი ნეკრესის „დიდი კვადრატის“ რევ მართალის მანიქეველობაზე

---

[20] მ. მშვილდაძე. ადრეული ქრისტიანობა საქართველოში. თბ. 2008. გვ. 121-123.

[21] Histoire du Christianisme des origins à nos jour, la dir. de J.M.Mayeur, C. et L.Pietri, A.Vaches. 2. Naissance d'une chrétienté: 250-430, sous la responsabilité de Charles at Luce Pietri, avec la collabor. de J.Varne, L.Brottier, A.Chauvot, Y.Puval. Paris. 1995, გვ. 96.

[22] В. Г. Луконин. Культура сасанидского Ирана (Иран в III-V вв. Очерки по истории культури). Москва. 1969, გვ. 71-72.

[23] M.-L. Chaumont M.-L. Les Sassanides et la christianisation de l'Empire iranien au III siecle de notre ere, "Revue de l'histoire des Religions", CLVI, №2, 1964, გვ. 165-202.

[24] მ. მშვილდაძე. იმპერიები და რელიგიები (რომი და სასანიანთა ირანი ახ.წ. III ს.), გვ. 86-93.

მოქცევასთან და აღნიშნული ძეგლის მანიქეველთა მონასტერთან დაკავშირებისა.[25] ნეკრესის „დიდი კვადრატის“ არქიტექტურულ ფორმებს ჩვენ არ შევეხებით, ეს ცალკე კვლევის საგანია. ჩვენ საკითხს განვიხილავთ ისტორიულ, პოლიტიკურ და რელიგიურ ჭრილში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, რევ მართალი წარმართია. ჰყავს წარმართი მეუღლე, რომელიც აფროდიტეს კულტის თაყვანისმცემელია... მეფის მიერ სარწმუნოების შეცვლა, ქვეყნის ამა თუ იმ რელიგიაზე მოქცევად ითვლებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა მეფე მირიანის გაქრისტიანების ამბავი, რაც ქართლის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის თარიღად ითვლება. მეფის მიერ რელიგიური ორიენტაციის შეცვლა ქვეყანაში არსებული ყოველგვარი საყრდენის (მრევლი) გარეშე, წარმოუდგენელია, განწირულია მარცხისთვის. იმავდროულად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეზობელ ქვეყნებში – იმპერიებში არსებულ პოლიტიკურ და რელიგიურ სიტუაციას. მათ გავლენას ამა თუ იმ ქვეყანაზე.

რევ მართალის მეფობა ირანის შაჰის შაბურ I-ის შაჰინშაჰობას ემთხვევა, მაგრამ იმ პერიოდს, როდესაც მასსა და მანის შორის განხეთქილება უკვე ჩამოვარდნილია. ირანში მანიქეველობა არ იდევნება, მაგრამ არც აკრძალულია. მანიქეველობა მართლაც სწრაფად ვრცელდება როგორც სასანიანთა ირანის, ისე რომის იმპერიის ტერიტორიაზე. ეს კიდევ ცალკე საკითხია. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს იმის გარკვევა, თუ რამდენად გახდებოდა ქართლის მეფე მანის მიმდევარი და თუ გახდებოდა, რამდენად ღიად აღიარებდა იგი ამას. ეს ხომ პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ჯერ ერთი, რევი ქართლის მეფის ტახტზე რომისა და სომხეთის დახმარებით ადის, იმ ადგილობრივი დიდებულების მეშვეობით, რომლებიც ამაზასპს აუჯანყდნენ. ირანში კი რელიგიური ჭიდილია მანის და კარტირს შორის, რაც კარტირის გამარჯვებით მთავრდება. მართალია შაბურ I-ის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ რევის მეფობის მეორე პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კარტირი უფრო მომძლავრებულია. მანისა და შაბურ I-ის ურთიერთობა კი გაფუჭებულია. თუ გავითვალისწინებთ გეოპოლიტიკურ სიტუაციას, ვნახავთ, რომ ქართლის მეფის მანიქეურ რელიგიაზე მოქცევა, არც რომის იმპერიის და არც სასანიანთა ირანის ინტერესებშია.

კიდევ ერთი საკითხი. „მეფეთა ცხოვრებაში“ დაცული ცნობა რევის შესახებ. კერძოდ, რომ მან აკრძალა ყრმათა კვლა და ცხვრისა და ძროხის

[25] გ. ყიფიანი. ნეკრესის „დიდი კვადრატი“. http://saunje.ge/index.php?id=1478&lang=ru

შეწირვა დააწესა, ასევე ვერ მოდის მანიქეურ რელიგიასთან თანხვედრაში. მანიქეური დოქტრინის მიხედვით, იკრძალებოდა ადამიანებისა და ცხოველების მოკვლა, მაგრამ არ იყო აკრძალული ცხოველის ხორცის ყიდვა და ჭამა. მკაცრად იყო აკრძალული ღვინის სმა.[26]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლში თუ მართლაც შემოდის III საუკუნის შუა ხანებში მანიქეველობა, რაც არ არის გამორიცხული. ქართლის სამეფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ მას სახელმწიფო რელიგიის დონეზე ვერ განვიხილავთ. რელიგიის ისტორიის განვითარებიდან გამომდინარე, ასე სწრაფად, დროის სულ მცირე მონაკვეთში ახალი რელიგიური მოძღვრება ვერ მკვიდრდება ამა თუ იმ ქვეყანაში. ამის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ისტორიიდან. ნიშანდობლივია ისიც, რომ პოპულარობის მიუხედავად, მანიქეველობა არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფო რელიგიად არ იქნა გამოცხადებული. ქართლი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, გვერდს ვერ აუვლიდა III საუკუნეში სასანიანთა ირანში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს, მაგრამ იმავდროულად, ეს პროცესები ნაკლებად უნდა ასახულიყო ქართლზე.

[26] Кефалайа («Главы»). Коптский манихейский трактат. Пер. с коптского, исслед., комм. Е. Б. Смагиной. Москва. 1998, გვ. 512 (Памятники письменности Востока. CXV).

Marika Mshvildadze
Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

KARTLI AND SASANIAN IRAN IN THE 3RD CENTURY. RELIGIOUS ASPECT

Summary

In the 1st-3rd centuries A.D. Kartli was included in the geopolitical sphere of "Pax Romana". The exception is middle of the 3rd century A.D., when King Amazasp of Kartli, due to the political situation, was forced to change his state orientation and recognize himself as a vassal of Shah Shabur I of Iran.

The 3rd century is an important period for Sassanid Iran, which can be called the era of religious reforms (Kartir and Mani. Zoroastrianism and Manichaeism). Our area of interest is to find out how much the religious situation in Sassanid Iran of the 3rd century reflected on Kartli.

The paper examines and analyzes political and religious issues between Iberia and Sasanian Iran based on historical sources and artifacts. The research shows that due to the political situation, Kartli could not bypass the religious processes taking place in Sasanian Iran in the 3rd century, but, at the same time, these processes supposedly had a smaller impact on Kartli. It is noteworthy that Sasanian engraved gems in Kartli appear mostly after the IV century and throughout the Sasanian period. The engraved gems a contemporary historical document on which the depictions of deities, symbols and ritual scenes shed light on the religious beliefs of this or that period.

Due to the above, despite the fact that the state orientation towards the east (Sassanid Iran) was changed by the king of Kartli Amazasp, the expansion of Zoroastrianism from Sassanid Iran should not have taken place during the reign of both Amazasp and Rev I the Just (King of Iberia).

Due to the geopolitical situation, it is also difficult to imagine the conversion of the kings of Kartli (Amazasp and Rev I the Just) to Manichaean religion, which was not in the interests of either the Roman Empire or Sasanian Iran.